

ბანმართებითი ბარათი

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განაპირობა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ადრე არსებულმა გარემოსდაცვითმა ნებართვამ. კერძოდ – მას შეეცვალა დასახელება და გახდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“ და ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი გაცემის წესი (პროცედურები).

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრას დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ხარვეზები და მოხდეს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ გაცემის პროცედურების (ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ გაცემის პროცედურის შემადგენელ ნაწილს) შესაბამისობაში მოყვანა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის პირველ და მეორე მუხლებში მოცემულია ზოგადი დებულებანი და ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი პირნციპები.

კანონპროექტის მე-3 მუხლით ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ამავე მუხლით ასევე მოცემულია სამინისტროს, როგორც ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში უფლებამოსილი ორგანოს უფლება-მოვალეობანი.

კანონპროექტის მე-4 მუხლში მოცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეტალური პროცედურები მოცემული იქნება ამ კანონის საფუძველზე გამომცემულ "ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში.

კანონპროექტის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ეკოლოგიურ ექსპერტიზაში დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობის საკითხები და მათი სტატუსი.

კანონპროექტის მე-6 მუხლი ადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისა და მისი გაცემის საკითხებს.

კანონპროექტის მე-7 მუხლში მოყვანილია საქმიანობის განმახორციელებლის უფლებება-მოვალეობანი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდეს იმ პირობებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეპტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეპტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების და ექსპერტების, კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მომხდარა;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) ან/და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ და შესაბამისად მათი მხრიდან კანონპროექტის შეფასება არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.